საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 8 თებერვალს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ნიკა გილაურმა, მთავრობის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სახელმწიფო მინისტრის აპარატად ჩამოყალიბდება, ხოლო მისი ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცემა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომელიც ენერგეტიკის სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდება; დაცული ტერიტორიების სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შევა. …

გასული წლის 17 დეკემბერს სათაფლიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა დაავალა მთავრობას გარემოსდაცვითი უწყების რეორგანიზაცია, აქ გამეფებული სისტემური კორუფციის აღმოფხვრისა და გარემოსდაცვითი კონტროლის გაუმჯობესების მიზნით. სამწუხაროდ, დაინტერესებული საზოგადოებისთვის უცნობია, რა არის მთავრობის მიერ გახმოვანებული ცვლილებების რეალური მიზეზი – პრეზიდენტის მიერ დასახელებული ხარვეზების აღმოფხვრის სურვილი, თუ ბოლო წლებში არსებული ტენდენციის გაგრძელება, რომელიც მიმართულია გარემოსდაცვითი მოთხოვნების კიდევ უფრო უგულებელყოფისაკენ. ასევე უცნობია, ცვლილებების დაგეგმვისას რამდენად იყო გაანალიზებული გარემოს დაცვის სფეროში არსებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა ინტერესთა კონფლიქტები, ნეპოტიზმი, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის/რეგულაციების სისუსტე, პროფესიონალიზმის დეფიციტი, ბუნებრივ რესურსებთან ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის არარსებობა და ა.შ.

სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში გარემოსდაცვით სექტორში ხშირად ხორციელებოდა ცვლილებები, საზოგადოების ინფორმირებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე. როგორც პრაქტიკამ არაერთხელ ცხადყო, ამგვარად მიღებული გადაწყვეტილებები არ არის დაზღვეული შეცდომებისგან, რომელთა აღმოფხვრა ბევრად უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ვიდრე დაჩქარებული და ბოლომდე გაუთვლელი გადაწყვეტილებით მიღებული ხანმოკლე და ერთჯერადი სარგებელი.

მთავრობის მიერ "სამინისტროს რეორგანიზაციის პროექტის" სახელით წარმოდგენილი…სქემა მნიშვნელოვან საფრთხეებს შეიცავს. გვინდა განსაკუთრებულად აღვნიშნოთ რამდენიმე საკითხი:

- ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რომელი უწყება იქნება პასუხისმგებელი გარემოსდაცვითი მოთხოვნების დადგენაზე და მათი შესრულების კონტროლზე;

- მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იყოს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე ბუნებრივი რესურსების დაცვასა და მოხმარებას შორის. დაუშვებელია, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენების უფლების გაცემის (ლიცენზირების), მოსაპოვებელი რესურსების ოდენობისა და მოპოვების პირობების დადგენის და სალიცენზიო/სანებართვო პირობების კონტროლის ფუნქციები ერთ უწყებში მოექცეს, მით უმეტეს რესურსების მაქსიმალურად მოხმარებაზე ორიენტირებულ სამინისტროში (ენერგეტიკის სამინისტრო);

- არსებობს საშიშროება, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკონომიკის სამინისტროსადმი დაქვემდებარებით შეილახება დაცული ტერტორიების ძირითადი ფუნქცია _ ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემების კონსერვაცია – დაცვა და შენარჩუნება. მთავრობის

წევრთა განცხადება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ დაცული ტერიტორიები მხოლოდ ტურიზმის განვითარების ერთ–ერთ საშუალებად მიაჩნიათ. ჩვენთვის სრულიად მიუღებელია მინისტრ ხაჩიძის (რომელმაც მხარი დაუჭირა ამ "რეფორმას") განცხადება, რომლის თანახმადაც გარემოს დაცვის სამინისტროს მხოლოდ "წმინდა გარემოსდაცვითი ფუნქციები დარჩება", რითაც მან აღიარა, რომ დაცული ტერიტორიების მართვა მას გარემოს დაცვის ღონისძიებად არ მიაჩნია;

- არსებოს საშიშროება, რომ საქართველოს ტყეები განხილული იქნება, როგორც მხოლოდ ეკონომიკური რესურსი და უგულვებელყოგილი იქნება მათი ეკოლოგიური და სოციალური ფუნქცია, რაც მოკლე ხანში გამოუსწორებელ შედეგებს გამოიღებს.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რეორგანიზაცია მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს საქართველოს გარემოს მდგომარეობაზე. ამიტომ, ორჰუსის კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა იმ ეტაპზე, სანამ არჩევანის გაკეთება ჯერ კიდევ შესაძლებელია (კონვენციის დედანში - while options are still open).

ჩვენ, საქართველოს გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გაუმჭვირვალე პრაქტიკა, გარემოსდაცვითი სექტორისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არ შეეფერება ქვეყანას, რომელიც ისწრაფვის ევრო–ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისაკენ. შემოთავაზებული მოდელი გვაგონებს რამდენიმე წლის წინათ პუტინის რუსეთში განხორციელებულ რეფორმას.

გამოვთქვამთ შეშფოთებას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაეროს მაღალი ტრიბუნიდან გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ "საქართველო გახდება მდგრადი განვითარების სამოდელო ქვეყანა".

გამომდინარე ზემოთქმულიდან მოვითხოვთ:

- შეჩერებული იქნას გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის სქემის წარდგენა პარლამენტში განსახილვევლად;

- უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოების სრული ინფორმირება სამინისტროოს რეორგანიზაციის შემოთავაზებული სქემის დეტალების თაობაზე (პასუხისმგებლობათა გადანაწილება, გარემოს დაცვის ინსპექციის და გარემოს ეროვნული სააგენტოს მომავალი დაქვემდებარება და ფუნქციები, დაცული ტერიტორიის სააგენტოს მომავალი ფუნქციები და მიზნები, სატყეო სექტორის განვითარების გეგმა);

- ორჰუსის კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნას სამინისტროს რეორგანიზაციის საკითხის ფართო საჯარო განხილვა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები-საქართველო“
„ასოციაცია მწვანე ალტერნატივა“
კავშირი "ტყის მკვლევარები"
არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყარო“
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი
კავშირი “თემი და თვითმმართველობა”
ასოციაცია “ეკოპულსი”
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
დემოკრატიის განვითარების ახალგაზრდული ცენტრი
საქართველოს ეკოლოგიურ მიწადმოქმედთა ასოციაცია „სემა“
„გარემოს დაცვის ლიგა“
„ჟურნალისტები და საზოგადოება“
ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი
ასოციაცია "არგომედია" (ArgoMedia)
სამოქალაქო განვითარებისა და ინტეგრაციის ცენტრი (CDIC)
ასოციაცია "მედია და საზოგადოება"
ასოციაცია "საზოგადოება განვითარებისათვის" (CDA)
კავშირი „სვანეთის ტურიზმის ცენტრი“;
ნაბადის სამეზობლო განვითარების ასოციაცია;
პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“;
ასოციაცია „ბეთლემი“;
ახალგაზრდა კონსერვაციონისტთა ჯგუფი;
საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია;
ასოციაცია „დეა“;
ELIDG-ევროპული კვლევები საქართველოს საინოვაციო განვითარებისათვის
„სამცხე ჯავახეთის მომხმარებელთა კავშირი“
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი ICCN